



სსიპ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის
2018 წლის ანგარიში

სარჩევი


- სამსახურის მიზნები და ამოცანები, საქმიანობის ძირითადი მიმართულებები 3
- სტატისტიკური მონაცემები 4
- ტიპოლოგია 9
- ადგილობრივი და საერთაშორისო თანამშრომლობა 11
- ნორმატიული ბაზის ცვლილებები 14
- ტრენინგები და სემინარები 15



- **სამსახურის მიზნები და ამოცანები, საქმიანობის ძირითადი მიმართულებები**

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური, როგორც ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების პრევენციის ორგანო, 2004 წლიდან ფუნქციონირებს და თავისი საქმიანობისას ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით, მათ შორის, „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონით. საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური დანაშაულებრივი ფაქტების გამოვლენისა და მათი პრევენციის მიზნით, კანონმდებლობით განსაზღვრული მონიტორინგის განმახორციელებელი პირებისგან იღებს, აანალიზებს და შესაბამისი დასაბუთებული ვარაუდის არსებობის შემთხვევაში, რომ გარიგება საეჭვოა და ხორციელდება უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ან ტერორიზმის დაფინანსების ან სხვა პრედიკატიული დანაშაულის ჩადენის მიზნით, დაუყოვნებლივ, სხვა ორგანოსგან ან პირისგან ნებართვის მიღების გარეშე, გადასცემს ამ ინფორმაციას და მის ხელთ არსებულ სათანადო მასალებს სამართალდამცავ ორგანოებს. საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფლებამოსილებებთან ერთად, „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულია მონიტორინგს დაქვემდებარებული გარიგებები, მონიტორინგის განმახორციელებელი პირები, საზედამხედველო ორგანოები და მათი ვალდებულებები.

საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიზნები და ფუნქციები, მისი სტრუქტურა განსაზღვრულია საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 ოქტომბრის #606 დადგენილებით დამტკიცებული “საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის დებულებით”. საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის სტრუქტურა შემდეგნაირია:



ამჟამად მოქმედი სამსახურის საშტატო ნუსხა და თანამშრომელთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობა დამტკიცებულია საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2018 წლის



29 იანვრის #16 ბრძანებით. აღნიშნული აქტის საფუძველზე სამტატო ნუსხით გათვალისწინებულია 31 სამტატო ერთეული.

- **სტატისტიკური მონაცემები**

2018 წლის მანძილზე „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, მონიტორინგის განმახორციელებელ პირებს წარმოადგენდნენ:

- ფინანსური ინსტიტუტები: კომერციული ბანკები, ვალუტის გადამცვლელი პუნქტები, არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებები და მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საბროკერო კომპანიები და ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორები, სადაზღვევო კომპანიები და არასახელმწიფო საპენსიო სქემის დამფუძნებლები, საგადახდო მომსახურების პროვაიდერები და სალიზინგო კომპანიები.
- არაფინანსური ინსტიტუტები: ლატარიის, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის ორგანიზატორები, მათ შორის, სამორინეები (აგრეთვე, ინტერნეტ სამორინეები); ძვირფას ლითონებთან, ძვირფას ქვებთან და მათ ნაწარმთან და ანტიკვარულ ნივთებთან დაკავშირებული საქმიანობის განმახორციელებელი პირები; საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – შემოსავლების სამსახური, გრანტებისა და საქველმოქმედო დახმარებების გამცემი პირები; ნოტარიუსები; საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო: პირები, რომლებიც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ეწევიან საბუღალტრო ან/და აუდიტორულ საქმიანობას და ადვოკატები.

„უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, მონიტორინგის განმახორციელებელი პირები ვალდებული არიან საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურს მიაწოდონ ანგარიშგების ფორმები მონიტორინგს დაქვემდებარებულ გარიგებებთან დაკავშირებით. მონიტორინგს დაქვემდებარებული გარიგებების სახეები განსაზღვრულია „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლით, რომლის თანახმად მონიტორინგს ექვემდებარება როგორც გარკვეული სახის გარიგებები 30 000 ლარს ზღვარს ზემოთ, აგრეთვე საექვო გარიგებები.


2018 წლის მანძილზე სამსახურში შემოსული ინფორმაციის სტატისტიკური მონაცემები შემდეგნაირად გამოიყურება:




მონიტორინგის განმახორციელებელი პირები	ანგარიშგების ფორმების საერთო რაოდენობა	მათ შორის ზღვარს ზემოთ	მათ შორის საეჭვო	მათ შორის ტერორიზმის დაფინანსება
კომერციული ბანკები	128276	127693	583	13
მიკროსაფინანსო ორგანიზაციები	34297	34217	80	0
სადაზღვევო კომპანიები	161	159	2	0
ნოტარიუსები	6115	6112	3	0
საბროკერო კომპანიები	297	293	4	0
ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორი	405	399	6	0
ვალუტის გადამცვლელი პუნქტები	31943	31935	8	1
ფულადი გზავნილების განმ. პირები	17	5	12	0
საბაჟო	7562	7562	0	0
ლატარიები და აზარტული თამ. მომწყ. პირები	921	920	1	0
სამორინე	930	930	0	0
საკრედიტო კავშირები	21	21	0	0
საჯარო რეესტრის ეროვნ. სააგენტო	22934	22827	107	0
საგადახდო მომსახურების პროვაიდერი	1894	1873	21	0
სალიზინგო კომპანიები	683	673	10	0
ადვოკატები	0			0
სულ	236456	235619	837	14

გრაფიკულად 2018 წლის მანძილზე სამსახურის მიერ მიღებული ანგარიშგების ფორმების რაოდენობა შემდეგნაირად გამოიყურება:







შესაბამისად, სტატისტიკური მონაცემების სისტემატიზაციის შედეგად ფინანსური (მათ შორის, კომერციული ბანკებიდან) და არაფინანსური ინსტიტუტებიდან მიღებული ანგარიშგების რაოდენობის მაჩვენებლები შემდეგნაირად გამოიყურება:



არასაფინანსო სექტორიდან მიღებულ ანგარიშგებათა სტატისტიკური მონაცემები, 2018წ.




თავის მხრივ, სამსახურში რეგისტრირებული, კანონმდებლობით განსაზღვრული მონიტორინგის განმახორციელებელი პირები, რომლებიც საქართველოს საფინანსო სექტორს წარმოადგენენ, 2019 წლის 1 იანვრისთვის მოიცავდა: 16 კომერციულ ბანკს, 11 საკრედიტო კავშირს, 63 მიკროსაფინანსო ორგანიზაციას, 19 სადაზღვევო ორგანიზაციასა და არასახელმწიფო საპენსიო სქემის დამფუძნებელს და 9 საბროკერო კომპანიას, 4 ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორს, 905 ვალუტის გადამცვლელ პუნქტს, 12 სალიზინგო კომპანიას და 42 საგადახდო მომსახურების პროვაიდერს.




არასაფინანსო სექტორიდან 2019 წლის 1 იანვრისთვის საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურში მონიტორინგის განმახორციელებელი პირის სტატუსით



აღრიცხვაზე იყვნენ: 323 ნოტარიუსი, 449 ლატარიის, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მომწეობი პირი, 399 აუდიტორულ კომპანია, 34 სამორინე, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტო და შემოსავლების სამსახური (საბაჟო ორგანო).




2018 წელს მიღებული ანგარიშგების ფორმების ანალიზის და სამსახურის მიერ მოძიებული სხვა ინფორმაციის დამუშავების შედეგად, ფინანსური მონიტორინგის სამსახურმა გამოავლინა და „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად საქართველოს მთავარი პროკურატურის, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს გადასცა 137 საქმე (მათ შორის, 14 ტერორიზმის შესაძლო დაფინანსების სავარაუდო შემთხვევებზე).



აღსანიშნავია, რომ გასული წლებისგან განსხვავებით, „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად 2018 წელს გარიგების აღსრულების შეჩერების უფლებამოსილება საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ გამოყენებული არ ყოფილა.

გარიგების აღსრულების შეჩერების რაოდენობა



ტიპოლოგია

2018 წლის მანძილზე საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ მიღებული ანგარიშგებების, მონიტორინგის განმახორციელებელი პირებისგან გამოთხოვილი დამატებითი ინფორმაციის, უცხოელი კოლეგებისგან მიღებული და ღია წყაროებში მოძიებული ინფორმაციის ანალიზმა აჩვენა, რომ საანგარიშო წლის მანძილზე კვლავ აქტუალური იყო სხვადასხვა თაღლითური გზებით (კომპიუტერულ სისტემებში ან ელექტრონულ ფოსტაში არაავტორიზებული შეღწევა, საბანკო რეკვიზიტების შეცვლა დოკუმენტაციაში, საიდენტიფიკაციო დოკუმენტების გაყალბება, მოპარული პლასტიკური ბარათების მონაცემების არაავტორიზებული გამოყენება, ე.წ. “romance-scam“, ე.წ. “identity theft“ და ა.შ.) მოპოვებული თანხების ლეგალიზაციის მცდელობის ფაქტები. აღნიშნული ტრანზაქციები ხორციელდებოდა საბანკო ანგარიშებისა და სწრაფი ფულადი გზავნილების სხვადასხვა საერთაშორისო სისტემების გამოყენებით. საქართველოში მოხვედრის შემდგომ ეს ფული გადაირიცხებოდა უცხოეთში ან ხდებოდა საქართველოშივე განაღდება.

2018 წელს საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ სამართალდამცავებისთვის გადაგზავნილი რიგი საქმეებისა ეხებოდა პირებს, რომელთა შესახებაც სამსახურის სარგებლობაში არსებულ მონაცემთა ბაზებში იძებნებოდა ნეგატიური ინფორმაცია მათი სხვადასხვა ტიპის დანაშაულთან შესაძლო კავშირის შესახებ. ამასთან ერთად, რამდენიმე პირი შეყვანილი იყო საერთაშორისო



ე.წ. „შავ სიებში“, როგორებიცაა მაგალითად ინტერპოლის ძებნილთა სია. ზოგიერთი მათგანი იძებნებოდა უცხო ქვეყნის სამართალდამცავების მიერ ამავე ქვეყანაში ჩადენილი დანაშაულისთვის.

საანგარიშო წლის მანძილზე სამსახურის მიერ გამოვლენილ საქმეთა ნაწილი ეხებოდა სხვადასხვა პირების მიერ საქართველოში დაფუძნებული კომპანიების მეშვეობით ირანისა და რუსეთის ფედერაციის მიმართ დაწესებული სანქციების შესაძლო თავის არიდების მცდელობას მესამე ქვეყნებში დაფუძნებულ კომპანიებთან განხორციელებული ტრანზაქციების საშუალებით.

2018 წლის მანძილზე სამსახურის მიერ სამართალდამცავ ორგანოებში გადაცემულ საქმეთა მცირე რაოდენობა მოიცავდა სხვადასხვა კომპანიის ნდობით აღჭურვილი პირის მიერ თანამდებობის ბოროტად გამოყენების სავარაუდო შემთხვევებს, როდესაც ხდებოდა კომპანიებიდან თანხების დაუსაბუთებელი განთავსება ზემოაღნიშნული პირების პირად ანგარიშებზე.

2018 წელს ასევე გაგრძელდა საქართველოში განთავსებული საბანკო ანგარიშების გამოყენება ე.წ. სატრანზიტო მიზნებისთვის. კომპანიების (აღსანიშნავია, რომ მათი მნიშვნელოვანი რაოდენობა დარეგისტრირებულია ქუთაისისა და თბილისის თავისუფალ ინდუსტრიულ ზონებში) ანგარიშებზე ხორციელდებოდა ჩარიცხვები და შემდგომი გადარიცხვები მესამე ქვეყნებში, ხოლო თანხების ბრუნვა რამდენიმე მილიონი ლარის ეკვივალენტს აღწევდა. იმ შემთხვევებში, რომლებმაც გამოიწვია საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის ყურადღება, თვალშისაცემი იყო როგორც ჩამრიცხავების, ისე თანხის მიმღებების დიდი რაოდენობა, გეოგრაფიული მრავალფეროვნება და ტრანზაქციის დანიშნულების ბუნდოვანი ხასიათი („საკონსულტაციო მომსახურებისთვის“, „ინვოისი“, „მარკეტინგული მომსახურება“ და ა.შ.), რაც ტიპური ბიზნეს-ურთიერთობებისთვის ნაკლებად დამახასიათებელია.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში განთავსებული საბანკო ანგარიშების გამოყენება სატრანზიტო მიზნებისთვის რიგ შემთხვევაში დაკავშირებულია კომპანიებთან, რომელთა საქმიანობაცაა ე.წ. ქოლ-ცენტრები. მსგავსი კომპანიები უშუალო სატელეფონო კონტაქტს ამყარებენ პოტენციურ მომხმარებლებთან (ძირითადად საზღვარგარეთ) და სთავაზობენ მათ სხვადასხვა პროდუქტის შეძენას, ინვესტიციის განხორციელებას და ა.შ. თანხის გადახდის შემდეგ კი მომხმარებელი ან საერთოდ ვერ იღებს წინასწარ შეთანხმებულ მომსახურებას ან იღებს გაცილებით მდარე ხარისხის სერვისს. მსგავსი თაღლითური საქმიანობა ცნობილია „ბოილერ-რუმ სკემის“ (Boiler room scam) სახელით და ატარებს მულტინაციონალურ ხასიათს. როგორც წესი, „ქოლ-ცენტრის“ დამფუძნებელი არის ერთი ქვეყნიდან, თავად კომპანია საქმიანობს სხვა ქვეყანაში, ხოლო სატელეფონო კონტაქტს ამყარებს მესამე ქვეყნის რეზიდენტებთან.



თანხის ანგარიშზე აკუმულირების შემდეგ ხდება მისი გადარიცხვა მეოთხე ქვეყანაში ან ნაღდი სახით გატანა ბანკის სალაროდან.

მსგავსი, თუმცა გაცილებით მცირე მასშტაბის, თაღლითობა შეინიშნებოდა უშუალოდ საქართველოს მოქალაქეების მიმართაც. ამ შემთხვევებში უცნობი პირების მიერ მსხვერპლისთვის „პროდუქტის“ შეთავაზება ხორციელდებოდა სოციალური ქსელების საშუალებით გზავნილების გაგზავნისა და რეკლამის განთავსების გზით.

2018 წელს სამსახურის მიერ გამოვლენილ შემთხვევათა ნაწილი უკავშირდებოდა საქართველოს მოქალაქეების საკმაოდ დიდი ჯგუფის მიერ სწრაფი ფულადი გზავნილებისა და კრიპტოვალუტის საშუალებით თანხების გაგზავნას. კრიპტოვალუტის გადარიცხვა ხორციელდებოდა ერთ-ერთი საგადახდო მომსახურების პროვაიდერის საშუალებით, რომლის მონიტორინგზე პასუხისმგებელ ჯგუფთან თანამშრომლობით ჩატარებული ანალიზის მეშვეობით გამოვლინდა ტრანზაქციები, რომლებიც დიდი ალბათობით შესაძლოა დაკავშირებული ყოფილიყო ნარკოტიკული ნივთიერებების უკანონო მიმოქცევასთან. საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ გამოვლენილი ყველა შემთხვევის თაობაზე შესაბამისი მასალები კანონით დადგენილი წესით მიეწოდათ სამართალდამცავ ორგანოებს.

საანგარიშო პერიოდში თვალშისაცემი იყო უცხოეთის მოქალაქეების მიერ საემიგრაციო რეჟიმის სავარაუდო დარღვევების შემთხვევების ზრდა. აღნიშნული პირები ცდილობდნენ საფინანსო ინსტიტუტებში გარკვეული ოპერაციების განხორციელებას, თუმცა, მას შემდეგ, რაც მათი მომსახურე თანამშრომლები აღმოაჩენდნენ შეუსაბამობებს მათ საიდენტიფიკაციო დოკუმენტებში (საქართველოს საზღვრის გადმოკვეთისას სასაზღვრო კონტროლის ბეჭდის არარსებობა, საქართველოში დარჩენის ვადის ამოწურვა და ა.შ), ისინი სასწრაფოდ ტოვებდნენ ფინანსურ დაწესებულებას, ზოგიერთ შემთხვევაში პასპორტიც კი ოპერატორთან რჩებოდათ.

- **ადგილობრივი და საერთაშორისო თანამშრომლობა**

2018 წელს საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურმა განაგრძო ინტენსიური თანამშრომლობა საზედამხედველო ორგანოებთან. მონიტორინგის განმახორციელებელი პირების შემოწმების მომზადებასა და ინსპექტირების შედეგებთან დაკავშირებით საზედამხედველო ორგანოებთან ხორციელდება ინფორმაციის ურთიერთგაცვლა მონიტორინგის განმახორციელებელი შესაბამისი პირების მიერ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების სფეროში მოქმედი საკანონმდებლო ბაზის მოთხოვნების შესრულების მდგომარეობის შესახებ.




2018 წელს საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური მონაწილეობდა კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოსა და ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავებელი და მისი შესრულების კოორდინაციის განმახორციელებელი უწყებათაშორისი საბჭოს მუშაობაში. საანგარიშო წლის მანძილზე სსიპ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური მონაწილეობას იღებდა საქართველოს ევროკავშირთან ინტეგრაციის სამთავრობო კომისიის მუშაობაშიც.

2018 წელს საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური მონაწილეობდა 2019-2021 წლების ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული სტრატეგიისა და შესაბამისი სამოქმედო გეგმის შემუშავებელი და შესრულების მონიტორინგის განმახორციელებელი უწყებათაშორისი მუდმივმოქმედი კომისიის მუშაობაში.

საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური ჩვეულ რეჟიმში აგრძელებს კოოპერირებულ საქმიანობას უცხოელ კოლეგებთან. 2018 წელს სხვადასხვა ქვეყნის ფინანსური მონიტორინგის სამსახურებიდან მიღებული იყო 45 შეკითხვა, შესაბამისი პასუხი გაეცა 44 მათგანს. თავის მხრივ, საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ უცხოელ კოლეგებთან გაგზავნილ იქნა 36 შეკითხვა, აქედან პასუხი მიღებული იქნა 31 შეკითხვაზე. საზღვარგარეთის ქვეყნების შესაბამის სამსახურებს საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ 2018 წელს გაეგზავნათ ფულის გათეთრების 13 სავარაუდო შემთხვევაზე ინფორმაცია, ხოლო უცხოელი კოლეგებისგან მიღებულ იქნა შეტყობინება 27 ანალოგიური ფაქტის თაობაზე.

მიღებული და გაგზავნილი შეკითხვები 2016–2018წწ.



საანგარიშო წლის მანძილზე სამსახური განაგრძობდა თანამშრომლობას საერთაშორისო და უცხოურ ორგანიზაციებთან. საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური აქტიურად იყო ჩართული ევროპის საბჭოს ფულის გათეთრების წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა შემფასებელ რჩეულ ექსპერტთა (Moneyval) კომიტეტის პლენარული სხდომების მუშაობაში. საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის წარმომადგენლები შემფასებლების სტატუსით მონაწილეობდნენ Moneyval-ის კომიტეტის მიერ მოლდოვას და ჩეხეთის რესპუბლიკის მე-5 რაუნდის საშემფასებლო მისიებში.

საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის წარმომადგენელი მონაწილეობდა 2018 წლის 29 - 31 აგვისტოს ეგმონტის ჯგუფის მიერ ორგანიზებულ ეგმონტის საერთაშორისო ქსელში გაწევრიანების კრიტერიუმებთან აზერბაიჯანის ფინანსური მონიტორინგის სამსახურის შესაბამისობის შემფასებელ მისიაში.

2018 წლის დეკემბერში სსიპ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისა და ევროპის საბჭოს Moneyval-ის კომიტეტის სამდივნოს ორგანიზებით თბილისში გაიმართა მეხუთე რაუნდის შეფასების პროცესისთვის საქართველოს საჯარო და კერძო სექტორის წარმომადგენელთა ტრენინგი, რომლის მიზანი იყო იმ სახელმწიფო და კერძო სტრუქტურების საშემფასებლო მისიის საქართველოში ვიზიტირების მომზადება, რომლებიც მონაწილეობას იღებენ Moneyval-ის კომიტეტის მიერ საქართველოს მეხუთე რაუნდის შეფასების პროცესში. საშემფასებლო მისიის საქართველოში ვიზიტი დაგეგმილია 2019 წლის ნოემბერში.

საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ აგრეთვე „დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების გათეთრების, მოძიების, ამოღების და კონფისკაციის და ტერორიზმის დაფინანსების შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენციის (C198-COP) ხელმომწერ მხარეთა მე-10 კონფერენციის მუშაობაში (2018 წლის 30-31 ოქტომბერი, სტრასბურგი).

2018 წლის ივნისსა და ნოემბერში სსიპ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ სუამ-ის სამდივნოს მიერ ორგანიზებულ კორუფციისა და ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის სამუშაო ქვეჯგუფის სხდომებში.



- **ნორმატიული ბაზის ცვლილებები**

2018 წლის მანძილზე გაგრძელდა ევროკავშირთან გაფორმებული ასოცირების შეთანხმებით აღებული ვალდებულებების შესრულების მიზნით, ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების მიზნებისთვის ფინანსური სისტემის გამოყენების აღკვეთის თაობაზე ევროკავშირის (მეოთხე) დირექტივის (Directive (EU) 2015/849 of the European Parliament and of the Council of 20 May 2015 on the prevention of the use of the financial system for the purposes of money laundering or terrorist financing, amending Regulation (EU) No 648/2012 of the European Parliament and of the Council) მოთხოვნებთან საქართველოს ფულის გათეთრების პრევენციული კანონმდებლობის აპროქსიმაციის უზრუნველსაყოფად სსიპ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ მომზადებული „ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ კანონპროექტზე და მის მიღებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებების პროექტებზე მუშაობა. კანონპროექტის მიღების მიზანია, აგრეთვე, ფინანსური ქმედების სპეციალური ჯგუფის (FATF) რეკომენდაციებთან, „დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების გათეთრების, მოპიების, ამოღების და კონფისკაციის და ტერორიზმის დაფინანსების შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენციასთან და გაეროს უშიშროების საბჭოს შესაბამის რეზოლუციებთან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობაში მოყვანა.

საანგარიშო წლის მანძილზე „ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ კანონპროექტი შეთანხმდა ფულის გათეთრების აღკვეთის კანონმდებლობით განსაზღვრულ ყველა ზედამხედველ ორგანოსთან, აგრეთვე, სხვადასხვა დაინტერესებულ უწყებასა თუ ორგანიზაციასთან (მათ შორის, კომერციულ ბანკებთან, მიკროსაფინანსო და სადაზღვევო ორგანიზაციებთან, საგადახდო მომსახურების პროვაიდერებთან, სამორინეებისა და სათამაშო ბიზნესის წარმომადგენლებთან და სხვ.). საქართველოში ევროპის საბჭოს წარმომადგენლობის ხელშეწყობით კანონპროექტი შეთანხმებულ იქნა, აგრეთვე, ევროკავშირის ექსპერტებთან, რომელთა დასკვნების და შეფასებების პრეზენტაციის მიზნით, 2018 წლის მარტში თბილისში გაიმართა ვორკშოპი. „ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ კანონპროექტი და მისგან გამომდინარე საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი საქართველოს პარლამენტში წარსადგენად 2018 წლის ნოემბერში გაეგზავნა საქართველოს მთავრობას.

„უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებიდან გამომდინარე, 2018 წლის მანძილზე გაგრძელდა მუშაობა საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ ტერორისტთა და ტერორიზმის ხელშემწყობ პირთა სიების განახლების მიმართულებით. ტერორიზმის ხელშემწყობ პირთა სიების შედგენა ხორციელდება



ფინანსური ქმედების სპეციალური ჯგუფისა (FATF) და გაეროს ალ-ქაიდასა და თალიბანის წინააღმდეგ მიმართული სანქციების კომიტეტების (შეიქმნა გაეროს უშიშროების საბჭოს #1267 (1999) და #1988 (2011) რეზოლუციების საფუძველზე) რეზოლუციებზე დაყრდნობით. საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ საანგარიშო წლის მანძილზე გაეროს შესაბამისი კომიტეტის გადაწყვეტილებების საფუძველზე მუდმივად ხდებოდა ცვლილებები და დამატებები ტერორისტთა და ტერორიზმის ხელშემწყობ პირთა სიებში. ზემოაღნიშნული ბრძანებები გამოქვეყნდა საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში, საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის ვებ-გვერდზე და მიეწოდა მონიტორინგის განმახორციელებელ პირებს. აღნიშნული ცვლილებებისა და დამატებების მიზანია გაეროს ალ-ქაიდასა და თალიბანის წინააღმდეგ მიმართული სანქციების კომიტეტების მიერ დამტკიცებულ სიებთან ადგილობრივი კანონმდებლობის სრული თავსებადობის უზრუნველყოფა.

• ტრენინგები და სემინარები

2018 წლის მანძილზე საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის თანამშრომლები განაგრძობდნენ მონაწილეობას სხვადასხვა საერთაშორისო ტრენინგსა თუ სემინარში, ასევე ესწრებოდნენ საერთაშორისო ორგანიზაციების ინიციატივით გამართულ შესაბამის შეხვედრებს. კერძოდ, საანგარიშო წლის მანძილზე სამსახურის თანამშრომლები მონაწილეობდნენ:

- 2018 წლის 22 - 27 აპრილს, ლარნაკაში, ევროსაბჭოს ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების შემფასებელ ექსპერტთა კომიტეტის (MONEYVAL) ტრენინგში მე-5 რაუნდის შემფასებლებისათვის;
- 2018 წლის 29 აპრილი - 5 მაისს, ბუდაპეშტში, ბუდაპეშტის საერთაშორისო სამართალდამცავთა აკადემიის (International Law Enforcement Academy - ILEA) მიერ მოწყობილ ტრენინგში „ფინანსური გამოძიებების ანტიკორუფციული სერია“;
- 2018 წლის 29 - 30 მაისს, თბილისში გამართულ ტრენინგში „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის (AML/CTF) სფეროში ცნობიერების ამაღლება ბუღალტრებისა და აუდიტორებისათვის“;
- 2018 წლის 17 - 20 ივნისს, კიშინიოვში, ევროპის საბჭოს მიერ მოწყობილ სემინარში „აქცენტები უსაფუძვლო გამდიდრების შემთხვევებზე კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით“;
- 2018 წლის 25 - 26 ივნისს, თბილისში გამართულ ტრენინგში „ადვოკატების მიერ ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის (AML/CTF) სფეროში არსებულ ნორმებთან შესაბამისობა“;



- 2018 წლის 17 - 20 ივლისს, ერევანში აშშ საელჩოს ექსპორტის კონტროლისა და საზღვრის უსაფრთხოების პროგრამისა და ამერიკის ფედერალური საგამოძიებო ბიუროს მიერ მოწოდებულ ტრენინგში „მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდები“;
- 2018 წლის 1 - 7 სექტემბერს, სეულში, ფინანსური ქმედების სპეციალური ჯგუფის (FATF) სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტის მიერ ორგანიზებულ ტრენინგში „FATF სტანდარტების სასწავლო კურსი 6“;
- 2018 წლის 15-17 ოქტომბერს, თბილისში გამართულ ტრენინგში „ფულის გათეთრების საქმეების გამოძიება და სისხლის სამართლებრივი დევნა“;
- 2018 წლის 29 ოქტომბერი - 2 ნოემბერს, ტირანაში ევროპის საბჭოს მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო კონფერენციაში „ბენეფიციარის კუთვნილების გამჭვირვალობა“;
- 2018 წლის 15-16 ნოემბერს, თბილისში ჩატარებულ ტრენინგში „ფულის გათეთრება გადახდის ახალი მეთოდების გამოყენებით“;
- 2018 წლის 21-22 ნოემბერს, თბილისში გამართულ ტრენინგში „დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების კონფისკაცია და უკან დაბრუნება“;
- 2018 წლის 3-4 დეკემბერს, თბილისში ორგანიზებულ ტრენინგში „ბენეფიციარული მესაკუთრეობა, ოფშორული კომპანიებისა და იურიდიული წარმონაქმნების გამოყენება, მაღალი რისკის მქონე ქვეყნებიდან ფინანსური სახსრების მოძრაობა“.

